ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

13 (10051) 14 aprili • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები განიხილეს

ნუგზარ ასათიანი



ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველომ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მრგვალი მაგიდა გამართა, რომელზეც წარმოადგინა 2014 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი.

–მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში შეტანილი რიგი ცვლილებებისა, ნამდვილად დადებითად უნდა შეფასდეს. საერთო ჯამში საარჩევნო კანონმდებლობის არსებითი ცვლილება, რაც მნიშვნელოვანად გააუმჯობესებდა საარჩევნო გარემოს და რისი მოლოდინიც გვქონდა არასამთავრობო ორგანიზაციებს და ზოგადად საზოგადოებას, მიგვაჩნია, რომ ამ დრომდე არ განხორციელებულა –აღნიშნა „სამართლიანი არჩევნების“ აჭარა-გურიის კურატორმა **მადონა ბერიძემ.** ახალი კანონით, გამგებლობის და მერობის კანდიდატი პარტიულ სიაში არ იქნება. ხოლო საკრებულოს უფლება აქვს, თუკი ხმების 2/3 მოაგროვებს, გადააყენოს მერი ან გამგებელი, რაც აკნინებს პირდაპირი წესით არჩეული მერის და გამგებლის პოზიციას.

ამ არჩევნებზე, ბიომეტრიული სამაგიდო სიები 1 მაისამდე იქნება.

„ნაციონალური მთავრობის მიერ ჩატარებული არჩევნებისას ყალბი პასპორტების გამოყენებაზე ისაუბრეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპაიძემ** და **მადონა ბერიძემ.** ამ თემას გამოეხმაურა ლეიბორისტი დავით მამალაძე.

ითქვა, რომ ახალი კანონით, თუკი არჩეულთა შორის ქალები 30 პროცენტი იქნება, ამ პარტიას დაფინანსება 30 პროცენტით გაეზრდება.

წინგადადგმული უწოდა საარჩევნო კოდექსს, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ხელმძღვანელმა ოზურგეთში **დიმიტრი კვერღელიძემ.** იგი მიიჩნევს, რომ არა დამცავი მექანიზმი, მერი და გამგებელი არად ჩაადებდა საკრებულოს.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მისეილ გოგოტიშვილის** თქმით, არის წინგადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ეს რეფორმა არ არის. ჩვენ ყოველთვის ვატარებდით რეფორმას, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს კარგი.

თანაპარტიელი **ოთარ რევიშვილი** მიიჩნევს, რომ ახალ კოდექსში პოზიტიურია მერის და გამგებლის არჩევისას 50+1. მაგრამ საკრებულოს პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლია მათი გადაყენება.

საკრებულოს ფრაქცია „ოცნების“ თავმჯდომარე **ლევან ნინიძემ** გამოთქვა აზრი, რომ კარგი იყო, საარჩევნო კოდექსით მერობის და გამგებლობის კანდიდატის დაყენება მოსახლეობის ჯგუფსაც შეძლებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ **ქეთევან ხიდაშელმა** აღნიშნა, რომ მას წინა ხელისუფლება პოლიტიკური ნიშნით დევნიდა. ახლაც, საშუნაროდ პარტიებს ქალები არჩევნებისას „შავ მუშად“ სჭირდებათ და არა პარტიულ სიებში.

ლეიბორისტური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით მამალაძე** ცვლილებებს ფასადურს უწოდებს და მიიჩნევს, რომ პარტიები 25 წელია ვერ ჩამოყალიბდნენ და ისინი ადმინისტრაციულ-ფინანსურ დაჯგუფებადაა შექმნილი.

მისეილ გოგოტიშვილმა საინტერესო მესიჯი გაუგზავნა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“შემავალ პარტიებს. მისი ინფორმაციით „ქართული ოცნება“ აპირებს მაჟორიტარ ოლქებში დამოუკიდებელი კანდიდატები დაუყენონ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს და ისინი თანდათან მოიშორონ კოალიციიდან

13 აპრილი ბზობა-ბაიაობა–იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში

ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ბზა, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა ბასილ კვირჩილაძემ აკურთხა. კურთხევამდე ქადაგებაში აღნიშნა, რომ აუცილებელია უწმიდესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II კურთხევის შესრულება და ბზის ტოტების არა მოჭრა და განადგურება, არამედ მისი მოვლა-დაფესვიანება.

ექადიაზე ჯვართამაღლების ტაძარი ახალ ადგილზე გაიხსნა

ექადიაზე, წმ გიორგის ქუჩაზე, დასრულდა წმიდა გიორგის ტაძრის მშენებლობა და ამჟამად იქ შიგა სამუშაოები მიმდინარეობს. ამ ბორცვზე, მამა შიოს (მენაბდე) ძალისხმევით, გასული საუკუნის 90-იან წლებში ჯვართამაღლების ხის ტაძარი აიგო, რომელშიც მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა.

ამჟამად ეს ხის ტაძარი ექდიის ტყე-პარკის ტერიტორიაზე გადაიტანეს. აქ მამათა მონასტერია და ტაძარიც ტყე-პარკის ცენტრში, საუცხოო ადგილას დადგეს.

12 აპრილს, წმ ლაზარეს შაბათს ტაძარში წირვა-ლოცვა მამა ნოემ (გოგიტაური) აღავლინა.

9 აპრილი ბოროტების იმპერიის დასასრული იყო

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ინიციატივით, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შეფასებაზე დისკუსია გაიმართა, რომელშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრას **თამარ კუპრაძე** უძღვებოდა.

თავდაპირველად სიტყვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, შემდეგ სახალხო პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის ყოფილ თავმჯდომარეს **ირინა კოპალეიშვილს** მისცეს.

–ეროვნულ მოძრაობაში 1988 წლიდან ჩავერთე, რაც მამა ვახტანგის (თოხაძე) დამსახურებაა. მაშინ გვამოძრავებდა ერთადერთი სურვილი –საქართველოს გათავისუფლების. ადამიანები

▶▶▶ გვ-2

„ბურჯანაძე - დემოკრატებმა“ მერობისა და დეპუტატობის რამდენიმე კანდიდატი დაასახელა

ნინო ნიკოლაიშვილი

კანდიდატები ამ პარტიის გურიის რეგიონის კურატორმა ავთანდილ ჩხაიძემ წარადგინა.

მერობის კანდიდატად იურისტი **კახა ჩავლეშვილი,** ხოლო ქალაქის რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ექიმი **ლეო თოიძე,** იურისტი, **აკაკი თოიძე** და ნარუჯის თემში იურისტი **მანუჩარ გოგრაჭაძე** დაასახელა. ბახვის თემში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სპორტსმენი **რევაზ ჭელიძე** იქნება. კახა ჩავლეშვილი არც ისე დიდი ხნის წინ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

კითხვაზე, ხომ არ განაპირობა პარტიიდან მისი წამოსვლა კოალიციის მიერ დასახელებულმა მერობის, გამგებლის, დეპუტატობის მისთვის მიულებელმა კანდიდატებმა,

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

14 აპრილი ორშაბათი	15 აპრილი სამშაბათი	16 აპრილი ოთხშაბათი	17 აპრილი ხუთშაბათი	18 აპრილი პარასკევი	19 აპრილი შაბათი	20 აპრილი კვირა
ღრუბელი +12+19	მზე, ღრუბელი +12+18	მზე, ღრუბელი +13+22	მზე +17+24	მზე +15+26	მზე +13+25	მზე +13+20

„ბურჯანაძე - დემოკრატებმა“ მერობისა და დეპუტატობის რამდენიმე კანდიდატი დაასახელა

კახა ჩავლეშვილის თქმით, დასახელებულ პარტიაში ის შეზღუდული იყო იქ მუშაობა მისთვის გაურკვეველი :– ჩემთვის მთავარი არ არის პიროვნებების პერსონიფიცირება. საზოგადოება უნდა დაფიქრდეს, ვინ არიან ეს ადამიანები და საიდან მოდიან. დროა დასრულდეს ოზურგეთში კლანური მმართველობა. ორი, ან სამი ადამიანი ზემოდან არ უნდა წყვეტდეს ჩვენი ქალაქის ბედს. მე მოვდივარ ჩემი იდეებით და პროექტებით. ჩემთვის არც წარუმატებლობა იქნება ტრაგედია, ტრაგედია იქნება მისთვის, ვინც ნახევარ მილიონს მაინც ჩადებს არჩევნებში. ნურავის მივცემთ უფლებას, იყიდოს, ან წაგვართვას ჩვენი ქალაქი.

რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ავთანდილ ჩხაიძის თქმით, ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკებები: – ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ რამდენიმე პიროვნებასთან.

სამწუხაროა, რომ ძველი ხერხები ისევ შეიმჩნევა. ხდება სამართალდამცავებისა და კრიმინალების ჩართვა საარჩევნო პროცესებში“.

პარტიული სიის თავში ქალაქის საკრებულოსთვის ჩასმულია თამარ ნადირიძის, ხოლო მუნიციპალიტეტისთვის ლელა ნაცვალაძის კანდიდატურა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ნაწილობრივ სეკვესტრირებული პროექტები წარმოადგინეს

გაზეთი „ალიონი“

10 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელმაც სამი საკითხი განიხილა.

პირველი საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებს და დამატებებს შეეხებოდა. გადასახადების ნაწილში ბიუჯეტი 4076.3 ათასი ლარით გაიზარდა.

ალბათ გახსოვთ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გაცხადებული, რომ 2014 წელში გურიაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის 47 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯებოდა, თუმცა სხდომაზე ნაწილობრივ სეკვესტრირებული პროექტები იყო წარმოდგენილი.

მერია-კონჭკათის თემის ადგილობრივი მნიშვნელობის 6,5 კმ. სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე 1. 000. 9 ათასი ლარია გამოყოფილი;

ქ. ოზურგეთში, წმიდა გიორგის ქუჩა–ექადიის სასაფლაოს ერთი კმ. გზის რეაბილიტაციაზე –470,1 ათასი ლარი;

ასკანის თემის, სოფ. მზიანის, მთისპირის, მშვიდობაურის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე –1. 199.7 ათასი ლარი; ბესიკის ქუჩის გზის რეაბილიტაცია –113.6 ათასი ლარი;

ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩის №№ 31,27,25 მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობასა და მისასვლელი გზების რეაბილიტაციაზე –233.5 ათასი ლარი; ჭავჭავაძისა დოლიძის ქუჩის კვეთაში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოს კეთილმოწობა –46.5 ათასი ლარი; რუსთაველის ქ.№28-ში მდებარე სპორტული კომპლექსის მშენებლობა –311, 1 ათასი ლარი.

ოზურგეთი-შემოქმედი-გომისმთის და ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის გზების დამაკავშირებელი 2,6 კ. საავტომობილი გზის 1,3 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია –371.6 ათასი ლარი; ოზურგეთი-ქობულეთის გზისა და ლიხაურის თემის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის, დამაკავშირებელი გზის 1,5 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია – 294,5 ათასი ლარი;

ადგილობრივი ხარჯები საკუთარი შემოსავლების ნაწილით 35 ათასი ლარით გაიზარდა. მათ შორის:– მუნიციპალური ტრანსპორტი –2,9 ათასი ლარით; სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დასაქმების პროგრამა –4,5 ათასი ლარით; სპორტული ღონისძიებების დაფინასება –27,5 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურული პროექტების თემაზე თავისი უკმაყოფილება ვერ დამალა დეპუტატმა **ავთანდილ ხინთიბიძემ:**

– როცა მელექედურის გზის თემაზე დავსვამდი კითხვას, მეუბნებოდნენ –ახლა ზამთარია და გაზაფხულზე განვიხილავთო. გავიდა გაზაფხული და ვხედავ, წელსაც არ დასრულდება სოფ. მელექედურიდან სოფ. დვაბზუსთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. მხოლოდ მცირე მონაკვეთია ჩასმული გეგმაში. არადა მოსახლეობის მდგომარეობა აუტანელია...

უფრო თავშეკავებული იყო კონჭკათის მაჟორიტარი **ალეკო ტულუში**, რომელიც წლებია იბრძვის კონჭკათის გზის რეაბილიტაციისათვის.

–რაც თანხა გამოყვეს, მაგით კონჭკათიდან დაიწყებთ გზის რეაბილიტაციას თუ მერიიდან? –დასვა კითხვა მან.

პირველი საკითხიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები შევიდა შესყიდვების გეგმაში, ხოლო მესამე საკითხად, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა განიხილეს.

9 აპრილი ბოროტების იმპერიის დასასრული იყო

მაშინ სხვანაირები იყვნენ, ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა იყო. გურიამაც გაიღო მსხვერპლი– ლიხაურელი ნინო თოიძე და ხიდისთაველი ნატო გიორგაძე იყო დაღუპულთა შორის.

მამა ვახტანგი, მაკვანეთის ხარების სახელობის ტაძრის მოძღვარი:–**დამოუკიდებლები არც დღეს ვართ. უსამართლობას ვებრძოდით და უფრო დიდ უსამართლობაში მოვხვდით.**

9 აპრილს წინ უძღვოდა ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოს სამხატვრო სახელოსნოში თანამოაზრეთა ჯგუფის შექმნა (ვახტანგ მამეიშვილი, რევაზ ჯაში, დათო შალიკაშვილი, ვახტანგ თოხაძე) სადაც ეროვნულ თემებს განვიხილავდით.

1989 წლის 9 აპრილისათვის უკვე გახლეჩილი იყო ეროვნული ძალები. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას გამოეყო IV დასი.

მიუხედავად 9 აპრილის ტრაგედიის სიმძიმისა, მომდევნო პერიოდი 26 მაისამდე იყო ბედნიერების პერიოდი. შემდეგ კი. ალბათ არ გვეყო განათლება და დაიწყო საზოგადოების თანდათან დაპირისპირება.

9 აპრილს საქართველოს პატრიარქის მოწოდებას, წავიდეთ და ტაძარში ერთად ვილოცოთო –ვუთხარით არა! რა მნიშვნელობა ჰქონდა ეს „არა“ ერთი ადამიანის ბაგიდან იყო წარმოთქმული თუ მეტის...

ირინა საჯაია, საკრებულოს დეპუტატი:– ძალიან მნიშვნელოვანი იყო 9 აპრილამდე მამა ნიკოლოზის (ღლონტი) მოღვაწეობა შემოქმედის მონასტერში. მე მაშინ ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვმუშაობდი. ჩვენ კი არა, მისი სულიერი შვილები იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია.

ჩვენ მაშინ ერთად გვინდოდა ყველაფრის მიღება და ასე არ მოხდა.

ვახტანგ მამეიშვილი, მხატვარი:– 1987 წლიდან გვქონდა ურთიერთობა ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან. იმ წლებში ვცდილობდით ყველა ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ სამწუხაროდ გათიშვა დაიწყო.

დღეს ზოგს უნდა თავის წარმოჩენა ისე, თითქოს ეროვნული მოძრაობა მან დაიწყო. გათიშულობა და დაპირისპირება კარგ არაფერს მოგვიტანს.

ზვიად გამსახურდიამ 9 აპრილს სხვა დიდი დატვირთვა მისცა და დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადა, რათა ეს დღე მუდმივად აღნიშნულიყო.

ნუგზარ ასათიანი, ჟურნალისტი:–იმ დროს ერთი გაზეთი გამოდიოდა ოზურგეთში და ეროვნული მოძრაობის გვერდით იდგა. შემდეგ ჩვენი თაობის ახალგაზრდა ჟურნალისტებმა პრესკლუბი შექმნეს. გამოვიდა გაზეთი „თვალსაწიერი“ (რდაქტორი ნინო გოგუაძე) და „ალიონთან“ერთად ეროვნული ძალების გვერდით იყო. ამას სხვა გამოცემებიც მოჰყვა.

ჩვენ ვხედავდით როგორ იხლიჩებოდა საზოგადოება. უკვე გათიშული პარტიების ორთავე მხარეს მიაჩნდა მხოლოდ თვითონ იყო მართალი. 1991 წლის ოქტომბერში, როცა ძალიან დაიძაბა მდგომარეობა თბილისში ჩავედით. ორთავე მხარე შეიარაღებული იყო. მწვავე რეაქცია მოჰყვა ორთავე მხარიდან ჩემს სტატიას: „ბარიკადს მიღმა, ორთავე მხარეს ქართველები არიან!“ განსაკუთრებით გაღიზიანება გამოიწვია ფრაზამ: „ძმათა ომში გამარჯვებულები არ იქნებიან!“

როცა სამოქალაქო ომმა კულმინაციას მიაღწია და კანონიერი პრეზიდენტი ქვეყნიდან გააქციეს, 1992 წლის 6 იანვარს შეიაღარებული ჯგუფი ოზურგეთშიც შემოვიდა. რედაქციაში დარეკეს და გაზეთის რედაქტორს თამაზ სალუქვაძეს და მე მისვლა გვთხოვეს. ძალიან მძიმე სიტუაცია იყო. იქ იყო პარტიების, საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც. გამოითქვა აზრი, ხომ არ ჯობდა პრეფექტურაში ნეიტრალური პირებისაგან შუამავალი მისულიყო, რომ არ მომხდარიყო სისხლისღვრა. შეირჩა სამკაციანი ჯგუფი: ბიძინა დარჩია, აკაკი დოლიძე (ჭავჭავაძის საზოგადოება) და მე.

პრეფექტს პაატა თოიძეს შევხდით. გავაცანით მდგომარეობა. პრეფექტი ჭკვიანი კაცი იყო და რეალურად შეაფასა მდგომარეობა, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები. იქ ჩვენც შეგვექმნა საშიშროება, მაგრამ მამა ნიკოლოზმა მოგვიწრო და გამოგვიყვანა...

ჟურნალისტის ამ სიტყვებს საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატის **ზაურ კოსტავას** გაღიზიანება მოჰყვა.

–ჩვენ არანაირი იარაღი არ გვქონდა. იმას რატომ არ ამბობთ, 7 იანვარს როგორ შევიდნენ პრეფექტურის შენობაში შეიარაღებული ხალხი. წელს, 31 მარტს გაქვთ გაშუქებული, რომ ამ დღეს რეფერენდუმი ჩატარდა?...(როგორც ჩანს იმან გააღიზიანა, რომ ზვიად გამსახურდიაზე წერილი ბოლო გვერდზე მივეცით...)

ტარიელ კაჭარავა, პედაგოგი:– სამშობლო უნდა იყოს პირველი და არა შენი თავი. ეროვნულ მოძრაობაში ნახევარი სიმართლით ცხოვრება არ შეიძლება.

ნინო ნიკოლაიშვილი, ჟურნალისტი:– იმ დღეებში მეც ვიდექი მთავრობის სახლის წინ. 8 აპრილს ღამით ვეღარ შევძელი მისვლა, თუმცა მომდევნო დღეებში, როცა ტრაგედიის ადგილზე ყვავილები მიგვქონდა, გაზის ნარჩენებიდან მოვიწამლე და კარგა ხანს ვმკურნალობდი.

ნუგზარის სტატიას დაპირისპირების თემაზე მწვავე რეაქცია მოჰყვა. მახსოვს, იგი სახლში არ იყო, შეიარაღებული პირები რომ ჩამოვიდნენ ეზოში. ისინი ნუგზარს ეძებდნენ. სახლის კარები ჩაკეტილი მქონდა. ავტომატიანები კარების შემომტვრევას ლამობდნენ. მეზობლებმა მიხსნეს...

ავთანდილ თავართქილაძე, მხატვარი: –ეროვნული მოძრაობაში ვიყავი ჩართული. ჩემს პოზიციებს ზოგჯერ ვერცერთი მხარე ვერ იგებდა. შეიძლება მორალური იდეებიდან გამოვიდეთ და არ ვიყოთ ზნეობრივები?...

ბიძინა დარჩია (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი):– 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან ილია მოკლეს... ეს მუდამ უნდა გვახსენებდეს თავს.

ირმა სალუქვაძე, ნინო თოიძის დისშვილი: –მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს 9 აპრილი. დაღუპულთა შორის დეიდაჩემიც იყო. დღეს ცოცხლები აღარ არიან ნინოს დედ-მამა, ძმა. დიდი დრო გავიდა. 25 წლის შემდეგ საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა 9 აპრილს 21 დაღუპულის ოჯახის წევრები მიიწვია თავის რეზიდენციაში და წმ. გიორგის ორდენები გადასცა. ჩვენგან დედაჩემი იყო, ნინოს და ქეთინო.

ერთ რაღაცას გავიხსენებ გულისტკივილით. პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ცნობა მოითხოვეს ნინო თოიძის შესახებ. ოზურგეთში ცნობილ დაწესებულებაში მივედით და ვუთხარით:

–9 აპრილს დაღუპულ ნინო თოიძეზე ცნობა გვინდათქო..

–რომელ 9 აპრილს? –შემოგვაგებეს პასუხი...

ანა მენაბდე, პედაგოგი:– 9 აპრილის თემა მეტად უნდა ისწავლებოდეს მოსწავლეთა გაცნობიერებისათვის.

გურამ ცერცვაძე, გურიის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე:–9 აპრილი იყო ბოროტების იმპერიის დასასრული– ეს იყო ამ დღის მთავარი მონაპოვარი.

9 აპრილს სოფ. ლიხაურში

25 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან. ამ წლების მანძილზე სოფ. ლიხაურში, თბილისში, მთავრობის სახლის წინ დაღუპული ნინო თოიძის საფლავთან მოდიან ეროვნული მოძრაობის, საზოგადოების წარმომადგენლები.

9 აპრილს საფლავთან მთავრობის წარმომადგენლებიც მოდიან. მოაქვთ ყვავილების თაიგული და წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ სამშობლოსათვის თავდადებულის ხსოვნას. წელსაც ხალხმრავლობა იყო ლიხაურში. საფლავი მოინახულეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა (პედაგოგი ნანი სალუქვაძე) ლექსები წარმოთქვეს.

შემდეგ ლიხაურის კულტურის სახლში ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის ძალებით ამ დღისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს.

ბრძოლა ოზურგეთიდან დაიწყო

„... ქართველები ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც დედამიწის ზურგიდან აღვავა ბრწყინვალე ბრძანებელი - ბიზანტია“.

ივანე ჯავახიშვილი

ვინ არ შემოსევია ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ისეთი სასტიკი, ვერაგი და შეფარული მოქმედების მტერი, როგორიც იყო ოსმანთა იმპერია, მსგავსი არასოდეს ყოფილა. ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავის შემდეგ, დიდი ქართული კუთხე სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დარჩა. სულთანის ხელისუფლებამ განსხვავებით ირანისა, არ იკმარა არც ხარკი, არც ქვეშევრდომობა და სამცხე-საათაბაგოს მიტაცება ადმინისტრაციულად დააკანონა, შემდგომში აჭარასაც დაეპატრონა.

როგორც ცნობილია, გაუთავებელი ომები წარმოებდა ყვარყვარე ათაბაგსა და გაერთიანებული საქართველოს ბოლო მეფეს გიორგი VIII -ს შორის. ამ თვალსაზრისით ათაბაგი დახმარებას თხოვს კახაბერ გურიელს და მაგიერში საჩუქრად აძლევს აჭარასა და ჭანეთს (ლაზისტანს) ათეულობით წლები გრძელდებოდა ბრძოლები აჭარა-ჭანეთისათვის როსტომ და მამია II გურიელსა და ოსმანებს შორის.

სამეფოებად და სამთავროებად დანაწევრებულ საქართველოს არ შეეძლო ორგანიზებულად გამოსულიყო მითვისებული ქართული ტერიტორიების დასაბრუნებლად. მაშინდელმა ქართველმა პოლიტიკოსებმა და მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო ძლიერი მოკავშირეების გაჩენა და გაერთიანებული ძალით წართმეული ტერიტორიების დიდი ნაწილის დაბრუნება. ქართულ მოწინავე საზოგადოებას და სახელოვან მეფე ერეკლე II-ს ასეთ მოკავშირეებად ერთმორწმუნე რუსეთი მიაჩნდათ.

ნათელი წარმოდგენა რომ გვქონდეს მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე, კარგად ჩანს ეს იმდროინდელი რუკიდან. ოსმანთა ბატონობის ქვეშ ჩილდირის ვილაიეტი მოიცავდა სამცხეთ-ჯავახეთს - ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი; ტრაპიზონის ვილაიეთი-აჭარა, ბათუმი, ქობულეთი (ჩურუკ-სუ) მაჭახელი, შავშეთი; არზრუმის ვილაიეთი - ტაო კლარჯეთი, არტანი, კოლა, ოლთისი, ჩილდირის ტბა, ჩრდილი, დიღვირი.

1877 წლის 12 აპრილს, რუსეთ- თურქეთის ომის დაწყების წინ ქალაქ ოზურგეთში განლაგებულ რუს-ქართველთა ლაშქარს ამ მიმართულების სარდალმა გენერალმა ოგლობჟიომ ასე მიმართა: „დაე გახსოვდეთ, რომ ჩვენს წინ გადაშლილი მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსია,... რომელთა ათასობით მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას .

1977 წლის ოქტომბერში გამართულ გენერალურ ბრძოლაში ოსმალთა არმია სასტიკად დამარცხდა. რუს-ქართველთა ლაშქარმა კვლავ დაიკავა საქართველოს ტერიტორიები. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსული პოლკები და ქართველი მოლაშქრეები ბათუმში შევიდნენ. ქალაქის მოსახლეობა გამანთავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა.

სამი საუკუნის წინ თურქთა ბარბაროსული ბატონობის შემდეგ, ოსმალთა მხეცური თარეშის წერტილის დასასმელად, რუს მეომრებთან ერთად თავგანწირვით იბრძოდა მთელი ქართველი ახალგაზრდობა - თბილისიდან, კახეთიდან, თიანეთიდან. როგორც იმ დროინდელი მწერი, მაგრამ საფუძვლიანი მასალები მოწმობენ, გურიის ახალგაზრდობის წვლილი აჭარისა და შავშეთის, კლარჯეთის თურქთა კლანჭებისაგან გასათავისუფლებლად განსაკუთრებული იყო. გამწვევი პუნქტები ვერ აუდიოდნენ მოხალისეთა აღრიცხვას. როგორც ცნობილია, გურია იმ პერიოდში ორ - ოზურგეთის და ნაგომრის სამოურავოდ განიყოფებოდა. რუსები გაოცებულნი იყვნენ ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო ბიჭები თვალ-ცრემლიანი, როგორ იხვეწებოდნენ, რომ ჩაერიცხათ გამანადგურებელ პოლკებში. ზუსტად ვერავინ ამბობს, მაგრამ იმ ოცდაათიათასი ქართველი მილიციელიდან და მოლაშქრიდან, რომლებიც სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ბათუმისათვის ბრძოლაში გამსაზღვრელ რაოდენობას გურული მეომრები შეადგენდნენ.

ბათუმის მიმართულებით წარმოებულ მძიმე ბრძოლებში განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა გურიის პირველი ქვეითი რაზმი, რომელსაც შტაბსკაპიტანი იასე გურიელი მეთაურობდა. როგორც მაშინდელი მხედართმთავრები აღნიშნავდნენ: „ ყველანი ხარკს უხდიან გურიის რაზმის დაუვიწყარ გმირობას, ლაშქრისა რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“. შთამომავლობას საუკუნეებით გადაეცემა იმ თექვსმეტი ლიხაურელი ბიჭის გმირობისა და მამაცობის შესახებ, რომლებმაც თავიანთი სრულიად ახალგაზრდა სიცოცხლე შეწირეს ბათუმისა და აჭარის გათავისუფლებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მწამს, შესაბამისი დარგის სპეციალისტები ყველანაირად შეეცდებიან მათი გმირობის გამაცოცხლებელი მასალების მოძიებას.

რუსეთის გამარჯვების გამო, 1878 წელს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით, ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები, მართლმადიდებლური ქვეყნები თურქეთის უღლისაგან გათავისუფლდნენ. XVI - XVII საუკუნეებში ოსმალთაგან მიტაცებული სამხრეთ - დასავლეთის ქართული ტერიტორიები, ორად გაგლეჯილი საქართველოს უმეტესი ნაწილი კვლავ გაერთიანდა. ბერლინის ტრაქტატის ძალით საქართველოსთან ადმინისტრაციულად გაერთიანდა შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი, ოლთისი და აჭარა.

თედო სახოკია თავის ცნობილ „მოგზაურობანში“ აღფრთოვანებით აღნიშნავდა რომ გურულებს განსაკუთრებით ეტყობათ მხედრული საქმისადმი სიყვარული, „ვერ ნახავთ ამბობდა ის - ხანში შესულთ, გულზე ნიშანი რომ არა ჰქონდეთ: წმინდა გიორგის ჯვარი ან მედალი არ ეკიდოთ, სხვადასხვა ომებში მიღებული მამაცობისა და თავგანწირვისათვის“.

რუსეთ-თურქეთის ორსავე ომში მონაწილე რუს ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი საცხოვრებლად ოზურგეთსა და რვა სოფელში დასახლდნენ, ცოლებად გურული ქალები მოიყვანეს, თვითონ გაქართველდნენ, რაც უპირველეს ყოვლისა გურული ქალების დამსახურებაა, პავლოვები, ვოლოშინები, დანჩენკოები, პიატკოვსკები და სხვები. ის რუსი მებრძოლები იყვნენ, რომლებიც ხსენებულ ომში მონაწილეობდნენ და გურიაში დარჩნენ. მათი შთამომავლობა დღეს ოზურგეთის მოსახლეობის გამოჩენილი ნაწილია.

რუსეთ-თურქეთის II ომში მოხალისედ იბრძოდა ჩემი დიდი ბაბუა ანტონ შავიშვილი, რომელიც საბრძოლო მამაცობისათვის წმინდა გიორგის ვერცხლის ჯვრით იყო დაჯილდოებული. ეს ორდენი სკოლაში სწავლის პერიოდში 1963 წელს სამახსოვროდ გადავეცი ჩემი, 1 საშუალო სკოლის მუზეუმს - რომელიც ჩამოყალიბა ცნობილმა მეცნიერმა და პედაგოგმა გივი ხოხლენკომ.

ჩვენს ქალაქში მოიდანახეს სასაფლაოზე მდებარე აკლდამაში განისვენებენ ის რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებმაც რუსეთ-თურქეთის ორივე ომის დროს ჯერ სამცხეთ-ჯავახეთი და ქ.ფოთი, ხოლო სამას წლიანი ბატონობის შემდეგ აჭარა, ტაო-კლარჯეთი დედასაქართველოს დაუბრუნეს.

ისტორია, თუ მას არ გახრწნის პოლიტიკა - დაუვიწყარ პატივს მიაგებს შენი სამშობლოსათვის თავდადებულ სხვა ქვეყნის შვილებსაც და შენს მამაც თანამემამულეებსაც, რომლებიც სხვისი დროშის ქვეშ იბრძოდნენ. არ განსჯის რა წყობილების და ხელისუფლების დროს დაიბადნენ და იღვაწეს, ისინი და მათი გმირობა ხალხსა და ეპოქას ეკუთვნის.

სიმფეროპოლელ სკოლის მოსწავლეს, იატაკქვეშელ ზოია რუხაძეს გესტაპომ ორივე ხელი გადაუმტვრია, თვალები დათხარა და გაუტეხელობის გამო, ჯერ კიდევ ცოცხალი ყინულოვან ჭაში ჩააგდო. ჩვენმა ხელისუფლებამ ვერაფერი უკეთესი ვერ მოიფიქრა და სამი წლის წინ გორში, მიზანდასახულად, მაინცდამაინც ზოია რუხაძის - გაუტეხელი გოგონას სახელობის ქუჩას სახელი შეუცვალა.



თბილისელი გიორგი ვარაზაშვილის საფლავზე იტალიაში გაკეთებულია წარწერა: „გამვლელო შეჩერდი, აქ განისვენებს პატრიოტი, რომელმაც დაღვარა სისხლი შენი გათავისუფლებისათვის. მან გაჩუქა შენ თავისუფალი იტალია.“ იტალიელებმა კარგად იცოდნენ, რომ მამაცი ქართველი მეომარი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე იყო.

როგორც ქრისტიანული ეკლესია გვასწავლის, უმადურება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცოდვაა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ II მსოფლიო ომის შემდგომ წინ წამოიწია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიების საკითხი, რომელიც ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებით, კვლავ დარჩა თურქეთის გამგებლობაში. 1945 წლის 14 დეკემბერს გამოქვეყნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. წერილის ავტორები ასაბუთებდნენ საქართველოს უფლებას თურქეთის საზღვრებში მოქცეული სამხრეთ-საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე.

ეს საკითხი ფართო მასშტაბით წამოიწია სსრკ წარმომადგენლის ა. ვიშინსკის გამოსვლაში 1947 წლის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც დაფუძნებული იყო ქართველი აკადემიკოსების მეცნიერულ დასკვნაზე.

შემდგომ საბჭოთა კავშირის მმართველის და ფაშიზმის გამანადგურებლის, გენერალსიმუსი სტალინის (რომელშიც ცხრა წლიანი იდეოლოგიური ინფექციით დასნეულებული ადამიანები, მხოლოდ ტირანს ხედავენ) ბრძანებით გენერალურ შტაბში დამუშავდა გეგმა თურქეთის, როგორც ქართული და სომხური ტერიტორიების მიმტაცებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, შესაძლო სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ, რომელიც უმოკლეს დროში არც გაუჭირდებოდა იმ დროინდელ მსოფლიო ომში გამარჯვებულ საბჭოთა არმიას. მაგრამ თურქეთი რისი თურქეთია, რომელიც ომის დროს განსხვავებული რადიკალური პოზიციის მიუხედავად ახალ ვითარებაში მიეკედლა დასავლეთს და იმისთვის, რომ სტალინისთვის გაესწრო, სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკ-ნატო-ში შეასწრო. ეს რომ სწორედ ამ გარემოების გამო მოხდა, ისიც ადასტურებს, რომ ნატოს წევრი ან მასზედ მიკედლებული, უზარმაზარი აზია - აფრიკის კონტინენტებიდან თურქეთის გარდა არცერთი ქვეყანა არ არის.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშოვის მთავრობამ უარი განაცხადა ტერიტორიული პრეტენზიებისადმი თურქეთის მიმართ და დაავალა საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს იგივე გაეკეთებინათ.

რაც შეეხება იმპერიებსა და ტერორებს საბჭოთა იმპერიის შექმნასაც სისხლი და ძვლები დასჭირდა. თუმცა არამარტო იმპერიების შესაქმნელად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ახალგაზრდა რეფორმატორებს თანასწორობისა და დემოკრატიის დასამკვიდრებლად ოცდაექვსი მილიონიანი ფრანგი მოსახლეობიდან ექვსი მილიონი თანამემამულის თავი დასჭირდათ; ზოგს გილიოტინით ხოცავდნენ, ზოგს პირდაპირი მიჯრით ზარბაზნების ყუმბარებით ხოცავდნენ. გვამებს პარიზი ვერ იტევდა და ისინი ქალაქგარეთ, კატაკომბებში მოათავსეს. როგორც ცნობილია, შემდგომ თვით რევოლუციის ლიდერების თავების დამატება გახდა აუცილებელი.

ნურც XXI საუკუნეში მომხდარ სერბეთის სასაკლაო დაგვავიწყდება დემოკრატიისა და სამართლიანობის ცინიკური ლოზუნგით, მაღალი სიზუსტის ტექნოლოგიური იარაღის გამოყენებით რომ განახორციელა მრავალწახნაგოვანი სტანდარტებით გამორჩეულმა დასავლეთმა.

ჩვენ გაღიზიანებული ვიყურებით მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ, დაკარგულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. მეხსიერებას არც ვუჩივით, როცა თურქეთისაგან წართმეული სამცხე-საათაბაგო არ გვახსენდება, სამხრეთის იმპერიების სისასტიკეც გვავიწყდება, ის რომ მოსახლეობასთან ერთად გენოციდი გამორჩეულ ადამიანებზე დაუნდობლად ხორციელდებოდა. არასრული მონაცემებით, დესპოტმა მუსლიმანმა მმართველებმა შვიდი ქართველი მეფე, სამი დედოფალი, 50-ზე მეტი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე სიკვდილით დასაჯეს. დემეტრე II -ს (შემდგომში თავდადებულის) დედა, გვანცა დედოფალი ზღვაში ჩაახრჩვეს, თეიმურაზ I - ის შვილი უფლისწული ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისეს, რის გამოც ერთი გაგიჟდა , მეორემ კი თავი მოიკლა.

ბოლო წლებში აჭარაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმანაც უნდა დაგვაფიქროს, რომ დღეს მდიდარი და კეთილი თურქეთი როგორ იბრძვის თავისი გავლენის დასამყარებლად, ყოფილი ბათუმის ოლქის ქართულ ნაწილში, კაპიტალდაბანდებებით, ახლად აშენებული მეჩეთებით, მთიანი აჭარის ახალგაზრდობის ტვინის გამორეცხვით, გასართობი ინფრასტრუქტურის შენებით, პროსტიტუციის წახალისებით. ყოველივე ამას ალბათ რომ ხედავენ ის მუსლიმანი ქართველები, რომლებმაც მეჰმედ ბეგ აბაშიძის ხელმძღვანელობით, ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდში, 1919 წლის 31 აგვისტოს, ბათუმის ოლქის მაჰმადიანთა ყრილობა ჩაატარეს თავიანთ ბუნებრივ სამშობლოსთან, საქართველოსთან შესაერთებლად - ალბათ საფლავში გადატრიალდებოდნენ.

ამ დღეებში აჭარის, ბათუმის განთავისუფლებისათვის დიდი ომის დაწყების 136 წლისთავი სრულდება. ომის რომელშიც სხვა ეროვნების და კუთხის შვილებთან, ერთად გურიის ახალგაზრდა მებრძოლებმა, ოზურგეთელებმა საუკუნოვანი ოცნება - აჭარის დედა საქართველოში დაბრუნება თავგანწირვის და სიმამაცის ფასად, სიცოცხლის ფასად შეძლეს. ისტორიული ჭეშმარიტებაა რომ წართმეულ სამშობლოს ან მის ნაწილს დიპლომატიული რევერანსებით ან ბარტერული გარიგებებით ვერ იბრუნებენ.

ამიტომაც დავიცვათ და გაუფრთხილდეთ იმას, რაც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა მახვილით და სისხლით დაგვიბრუნეს.

კოტე შავიშვილი
თადარიგის ოფიცერი

ქართველ ფოტოხელოვანთა გამოფენაგე

9 აპრილს ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეაში თანამედროვე ქართველ ფოტოხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა (გ. წიბახაშვილი, თ. კიღურაძე, ა. ლორთქიფანიძე, კ. კახიანი,).

გამოფენამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძე,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძე,** კულტურის სამსახურის უფროსი **მაია თანდილაშვილი,** მხატვრები **ვახტანგ მამეიშვილი, ავთანდილ თავართქილაძე,** გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია,** ფოტოხელოვანი **გურამ წიბახაშვილი.**

გამოფენა ორ კვირას გასტანს.

„არა ბიონარკოტიკებს!“

ამ დევიზით გასულ შაბათს ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა აქცია გამართეს და ქ. ცენტრში „ფანტანების“მიმდებარედ კედელი მოხატეს.

როგორც შსს გურიის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ლაშა ბაკურაძემ** გვითხრა, ამ აქციას სამინისტრო საქართველოს ყველა რეგიონში ატარებს, მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაა. ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების აქციაც ამ მიზანს ემსახურებოდა.

სტუმრად სარეაბილიტაციო ცენტრში

ოზურგეთის შშმპ სარეაბილიტაციო ცენტრს მუნიციპალიტეტის ინიციატივით მხატვრული კოლექტივები სტუმრობენ.

ამჯერად სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებს ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი მაია ნიკოლაიშვილი) მოსწავლეები ესტუმრნენ და საინტერესო კონცერტი გამართეს.

არც შშმპ ცენტრის ბენეფიციარები დარჩნენ ვალში და თავიანთი ხელოვნება უჩვენეს სტუმრებს.

ოზურგეთის თოჯინების თეატრის წარმატებები

ოზურგეთის მოზარდ მაყურებელთა-თოჯინების თეატრს წარმატებული გამოსვლა ჰქონდა ქ. ბათუმში, ოპერის თეატრში, სადაც მან ნახუცრიშვილის მიხედვით შექმნილი „ნაცარქექიას ახალი თავგადასავალი“წარმოადგინა (რეჟისორი ოთარ კუტალაძე).

გარდა გურიისა, ოზურგეთლებს იწვევენ აჭარის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში. სადაც მათ გამოსვლებს დიდი მოწონება აქვს.

ოზურგეთის „მერცხალს“პრიტიკული პერიოდი აქვს



გუნდს ისტორიის მანძილზე ასეთი წარუმატებელი სეზონი არ ჰქონია. ამჟამად გუნდი ცდილობს სახიფათო ზონა დატოვოს. მაგრამ ამასვე ცდილობენ სხვა აუტსაიდერებიც და გათამაშების ცხრილში მეზობლად მყოფ გუნდებთან ქულებს აგროვებენ.

მე-17 ტურში „მერცხალი“წალენჯიხაში ადგილობრივ „სქურს“შეხვდა. სტუმრებს ურიგოდ არ უთამაშიათ და პირველ ტაიმში დაწინაურდნენ. „სქურმა“მეორე ტაიმში შესძლო ანგარიშის გათანაბრება, ხოლო დამატებით დროში, მსაჯის „მონდომებით“

94-ე წუთზე სტუმრების კარში დანიშნული ჯარიმა კარგად დაარტყეს, 2:1 გაიმარჯვეს.

შემდეგ „მერცხალი“ საკუთარ მოედანზე გათამაშების ცხრილში უშუალო მეზობელს, ხონის „იმერეთს“შეხვდა.

„მერცხალმა“კარგად ჩაატარა ეს მატჩი და დიდი ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა.

ანგარიში მე-14 წუთზე ოზურგეთელმა გიორგი ბერიშვილმა გახსნა, ხოლო 34-ე წუთზე მიხეილ ქობულაძემ პენალტით მეორე ბურთი გაიტანა..

59-ე წუთზე გიორგი ვაშაკიძემ მესამე გოლი გაიტანა, რასაც 10 წუთის შემდეგ ხონელი ნიკოლოზ ჩიხლაძის ერთი გოლი მოჰყვა.

83-ე წუთზე ნიკოლოზ ხინთიბიძემ მეოთხე გოლი გაიტანა და „მერცხალმა“ბოლო 4 მატჩში მესამე გამარჯვება მოიპოვა.

2 აპრილს „მერცხალი“ბათუმში „ადელს“შეხვდა. „ადელი“ გათამაშების ცხრილში ბოლო საფეხურზე იმყოფებოდა და მათ პრინციპულ მატჩში „მერცხალი“დაამარცხეს 2:1.

ამჟამად „სქურს“ 20 ქულა აქვს, „იმერეთს“ 18 „ადელს“15 (20-20 შეხვედრიდან), ხოლო „მერცხალს“და „კახეთს“14-14.

ხვალ „მერცხალს“კიდევ ერთი „მძიმე“ მატჩი ელის ქ. თბილისში, გათამაშების ცხრილში III საფეხურზე მყოფ „დინამო II“-თან.

თუკი „მერცხალი“ საკუთარი რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას ვერ შეძლებს, I ლიგას დატოვებს.

სათემო ფონდი „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ აცხადებს საგრანტო კონკურსს სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებისა და ქალთა ჯგუფების ინიციატივების მხარდასაჭერად

სათემო ფონდი „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ აცხადებს საგრანტო კონკურსს სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებისა და ქალთა ჯგუფების ინიციატივების მხარდასაჭერად.კონკურსის მიზანი:ახალგაზრდებისა და ქალთა ჯგუფების ხელშეწყობა თემის განვითარებისთვისფონდი მხარს დაუჭერს შემდეგ ინიციატივებს:ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც მიმართული იქნება თემის გააქტიურებისკენ. ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვა, ქალთა ჯგუფების ინიციატივებს, რომელიც მიმართული იქნება თემის კეთილდღეობისაკენ.მონაწილეობის პირობები:კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძიათ მხოლოდ საინიციატივო ჯგუფებს. საინიციატივო ჯგუფში მინიმუმ ერთ-ერთი წევრი აუცილებლად უნდა იყოს სრულწლოვანი (18 წლიდან ზევით). უპირატესობა მიენიჭებათ ისეთ საინიციატივო ჯგუფების პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ ფონდთან თანამშრომლობის გამოცდილება.? ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.თუ პროექტის საერთო ბიუჯეტი აღემატება ზემოთ აღნიშნულ თანხას, ამ შემთხვევაში აუცილებელია გამცხადებელმა წარმოადგინოს თანადამფინანსებლის წერილობითი დასტური,ან მიუთითოს საკუთარი წვლილის არსებობა.? პროექტის განხორცილების მაქსიმალური ვადაა არაუმეტეს 4 თვისა.? პროექტი აუცილებელია დაიწეროს სათემო ფონდ „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ სააპლიკაციო ფორმის მიხედვით, პროექტი შესაძლებელია შემოიტანოთ ,როგორც ხელნაწერი ასევე ბეჭდური სახით(2 ეგზემპიარი), შესაძლებელია ასევე გამოგზავნოთ ელექტრონულადაც. სააპლიკაციო ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ ფონდის ოფისში, ან ჩამოტვირთოთ **www.wdrguria.wordpress.com -ის** სიახლეებშიპროცედურები: კონკურსი გამოცხადება 2 აპრილი, 2014 წელიპროექტის შემოტანის ბოლო ვადა 28 აპრილი 2014 წელიმხარდაჭერილი პროექტების გამოცხადება 15 მისამდე 2014 წელიკონსულტაციები: 2014 წლის 2 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე სათემო ფონდის ოფისშისაკონტაქტო პირი: ქეთევან ხიდაშელი, ნინო ლასხიშვილიტელეფონი: 593765481ელ. ფოსტა **kete63@gmail.com - See more at: http://www.alion.ge/other/342--.html#sthash.HBS06xDd.dpuf**

თორნიკე მახარაძე საქართველოს ჩემპიონია

დიდ წარმატებას მიაღწიეს ოზურგეთელმა მოჭადრაკეებმა საქართველოს პირველობაზე მოსწავლეებს შორის.

12 წლემდე მოჭადრაკეებში საუკეთესო შედეგი აჩვენა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე თორნიკე მახარაძემ. იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა. გოგონათა შორის III იყო წმ ნინოს გიმნაზიის მოსწავლე მარინე ღლონტი.

–ჩემპიონი უნდა გამხდარიყო 8 წლის მოჭადრაკეთა შორის წმ. ნინოს გინაზიის მოსწავლე ლაზარე შანიძე –გვითხრა მათმა მწვრთნელმა **ელგუჯა ურუშაძემ,** მაგრამ ბოლო ტურებში არასტაბილურად გამოვიდა IV ადგილი დაიკავა. ესეც კარგი შედეგია, რადგან ჩემპიონატში არაერთი ძლიერი მოჭადრაკე მონაწილეობდა

სენიორთა ტურნირზე

დღეს დასრულდება ოზურგეთის სენიორთა 2014 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში. მასში 8 მოჭადრაკე მონაწილეობს.

2 ტურით ადრე ლიდერობს სპორტის ოსტატი ანატოლი ტიაშჩენკო –4,5 ქულა; კოკი ბაქანიძეს 4 ქულა აქვს; 3,5-3,5 ქულა აქვთ ჯემალ კეჭაყმაძეს და რომან კუტუბიძეს, სწორედ ამ ოთხეულში გაირკვევა ჩემპიონის და პრიზიორების ვინაობა.

კადეტებს შორის პირველობაზე

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა კადეტებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა შემდეგი შედეგი აჩვენეს:

42 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილზე გავიდა ირაკლი ძიმისტარიშვილი („ლიხაურის ფილიალი, მწვრთ. ალ. ბოლქვაძე); 63-ში –გიორგი გუჯაბიძე (ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები).

ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ: 46 კგ-ში გიორგი ჩხაიძე (ძმები ზურაბიანები); 50 კგ-ში შოთა ღლონტი (გ. მაჭარაშვილი); 54 კგ-ში რომან ლომინაძე (ალ. ბოლქვაძე); 76-ში კახა კალანდაძე, ედნარ სოლომონიძე (გ. მაჭარაშვილი); 100 კგ-ში რობიზონ ესაძე (ალ. ბოლქვაძე და ედუარდ ღლონტი (გურამ მაჭარაშვილი).

რიზეში, საერთაშორისო ტურნირზე

სამ დღეს მიმდინარეობდა თურქეთის ქალაქ რიზეში საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ამ ტურნირზე ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა გიგა დაიასამიძემ 59 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა. (მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი).

ხულოში, რესპუბლიკურ ტურნირზე

ხულოში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა გიო გიორგაძემ 60 კგ-ში პირველი ადგილი დაიკავა. (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი).

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე